

განხილული და მიღებულია

დამტკიცებულია :

ა(ა)იპ წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის
წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის
პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე

გიმნაზიის რექტორის მიერ

ბრძანებით №73/003-ა 09/09/2021წ.

ოქმი №01 07/09/2021წ.

ქუთათელ გაენათელი მიტროპოლიტი



/იოანე გამრეკელი/

**ა(ა)იპ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის
წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის**

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის

ჯგუფის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I - ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დებულების მოქმედების სფერო

წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ა(ა)იპ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის (შემდეგში - ჯგუფი) მოქმედების წესსა და პროცედურებს.

თავი II - ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი

მუხლი 2

1. ჯგუფი არის მასწავლებლის პროფესიული სდანიდარტის, გიმნაზიასა და მასწავლებელს შორის დადებული ხელშეკრულებისა და მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული სქემის მოთხოვნებთან მასწავლებლის კომპეტენციის შესაბამისობის უზრუნველყოფის, ასევე, გიმნაზიის ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერის მიზნით შექმნილი ორგანო.
2. ჯგუფი იქმნება ა(ა)იპ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის რექტორის ბრძანებით.
3. ჯგუფი შედგება ა(ა)იპ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის პრორექტორების, სასწავლო პროცესის კოორდინატორის, ხარისხის მართვის მენეჯერის და კათედრებიდან წარმოდგენილი შესაბამისი კანდიდატურებისგან.
4. ჯგუფის წევრი შეიძლება იყოს გიმნაზიის მასწავლებელი (უფროსი/წამყვანი), ორიენტირებული ჩვენი გიმნაზიის წინსვლასა და განვითარებაზე.
5. ჯგუფს ხელმძღვანელობს გიმნაზიის პრორექტორი სასწავლო ადმინისტრაციულ დარგში.

მუხლი 3 ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიზნები.

1. გიმნაზიის პედაგოგთა სასწავლო პროცესის ხარისხსა და ორგანიზებასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასება და ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერა
2. მასწავლებლის საქმიანობის შიდა შეფასება;
3. ადმინისტრაციასთან ერთად ზრუნვა სასწავლო პროცესის ორიენტირება თანამედროვე მიდგომებზე და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერა.,
4. გიმნაზიაში პროფესიული დიალოგის გაძლიერებისა და თანამშრომლობითი კულტურის განვითარების ხელშეწყობა.

მუხლი 4. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სამოქმედო პრიციპები

ჯგუფი ხელმძღვანელობს თანამშრომლობის, თანასწორობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, კონფიდენციალურობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 5. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ხელმძღვანელის ფუნქციები

1. ხელმძღვანელობს ჯგუფის საქმიანობას;
2. თავმჯდომარეობს ჯგუფის შეხვედრებს;
3. ჯგუფის წევრებს აცნობს განათლების სისტემაში მიმდინარე, მათი საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებულ სიახლეებს.

მუხლი 6. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მდივნის ფუნქციები

1. ადგენს ჯგუფის შეხვედრების დღის წესრიგს;
2. ადგენს შეხვედრის ოქმებს და ინახავს მათ.

მუხლი 7. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შეხვედრების ინტენსივობა და ფორმატი

1. ჯგუფის შეხვედრები იმართება სისტემატიურად, საჭიროებისამებრ, მაგრამ აუცილებლად სემესტრის დასაწყისში და სემესტრის ბოლოს.
2. ჯგუფის შეხვედრები შეიძლება წარიმართოს როგორც ონლაინ, ისე პირისპირ რეჟიმში.
3. ჯგუფის ნებისმიერ წევრს საჭიროებისამებრ შეუძლია მოიწვიოს სხდომა, ჯგუფის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.
4. ჯგუფი შეიძლება შეიკრიბოს თუ მას ესწრება მინიმუმ ჯგუფის შემადგენლობის $\frac{3}{4}$ წევრი (შემადგენლობის უბრალო უმრავლესობა)
5. ჯგუფი გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში გადაწყვეტია თავჯდომარის ხმა.

მუხლი 8. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

1. ჯგუფის ხელმძღვანელი უფლებამოსილია ჯგუფის წევრს ვადის ამოწურვამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება:
 - პირადი განცხადების საფუძველზე.
 - პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში.
 - ან/და სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის შემთხვევაში.

მუხლი 9. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრის მოვალეობები

1. ესწრება ან/ და ჯგუფის თავმჯდომარის მითითებით ორგანიზებას უკეთებს გიმნაზიის ბაზაზე კოლეგებთან სამუშაო შეხვედრებს პროფესიული განვითარების მიზნით მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებებისა და ჯგუფის სამოქმედო გეგმის შესაბამისად;
2. ეხმარება კოლეგებს პროფესიული საჭიროებების განსაზღვრაში, პროფესიული განვითარების აქტივობების/სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებაში;
3. აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესს), აფასებს და აძლევს მას განმავითარებელ უკუკავშირს.
4. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კონსულტაციას უწევს მასწავლებელს პროფესიული განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (იხ.დანართი #1) შემუშავებაში და წლის განმავლობაში სახავს გზებს გაწერილი აქტივობების მხარდაჭერის მიზნით.
5. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს განიხილავს მასწავლებლის პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობების/სტრატეგიების შედეგებს და მასწავლებელს აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს (დანართი #2).
6. უზრუნველყოფს მასწავლებლის მიერ თითოეული თემატური ერთეულის ფარგლებში განხორციელებული თვითშეფასების/შეფასების და საგაკვეთილო დაკვირვების/დაკვირვებების შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი პროფესიული საჭიროებების საპასუხოდ განსახორციელებელი აქტივობების მხარდაჭერასა და მონიტორინგს.

7. წინასწარ შემუშავებული ინსტრუმენტების (კითხვარი, დაკვირვების სქემა, ფოკუსჯგუფის პროტოკოლი და/ან სხვ.) გამოყენებით აფასებს პროცესის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საქმიანობას და საჭიროების შემთხვევაში აძლევს რეკომენდაციებს პროფესიული განვითარების ან/და საქმიანობის ეფექტიანად დაგეგმვის/განხორციელების მიზნით.

მუხლი 10. გაკვეთილზე დაკვირვება

1. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ერთი სასწავლო წლის განმავლობაში აკვირდება ნებისმიერი ტიპის გაკვეთილებს: უფროსი მასწავლებლის 3 გაკვეთილს, წამყვანი მასწავლებლის 2 გაკვეთილს, მენტორი მასწავლებლის არანაკლებ 1 გაკვეთილს. მაძიებელი მასწავლებლის შემთხვევაში გაკვეთილის რაოდენობა განისაზღვრება მაძიებლის სამოქმედო გეგმით.
2. მასწავლებელი ყოველი სასწავლო სემესტრის დასაწყისში, არაუგვიანეს სწავლის დაწყებიდან ორი კვირისა, ჯგუფს აწვდის სემესტრის განმავლობაში გაკვეთილზე დასწრების სავარაუდო თარიღს/თარიღებს. ჯგუფი ადგენს საგაკვეთილო დაკვირვებების განრიგს და აცნობს მას მასწავლებლებს.
3. მასწავლებელი, გიმნაზიის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფს გაკვეთილის ჩატარებამდე არაუგვიანეს ორი დღით ადრე აცნობს ჩასატარებელი გაკვეთილის გეგმას წერილობითი ფორმით (დანართი №3)
4. მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილს ესწრება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მინიმუმ 2 წევრი.
5. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი მასწავლებლის გაკვეთილს აფასებს გაკვეთილის განმავითარებელი, აღწერითი ან ფოკუსირებული დაკვირვების რუბრიკით. (დანართი #4). იმ შემთხვევაში, თუ გაკვეთილზე დაკვირვება წარმართება დისტანციურად გამოყენებული იქნება დისტანციურ სწავლებაზე დაკვირვების სქემა (დანართი #5).
6. მასწავლებელი ჩატარებული გაკვეთილის შემდეგ ანალიზებს გაკვეთილს და დგება შეხვედრა მასწავლებელსა და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფს შორის.

მუხლი 11 მასწავლებლის ვალდებულებები

თითოეული თემატური ერთეულის/მატრიცის ფარგლებში განხორციელებული თვითშეფასების/შეფასების და საგაკვეთილო დაკვირვების/დაკვირვებების შედეგების ანალიზის საფუძველზე საგნობრივი სასწავლო გეგმის/თემატური მატრიცის განვითარება.

მასწავლებლის პროფესიული სდანიდარტის და მასწავლებლის პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულება.

მუხლი 12. გიმნაზიის ადმინისტრაციის წევრთა ვალდებულებები

გიმნაზიის ადმინისტრაციის წევრი ვალდებულია:

1. სასწავლო წლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში ჯგუფს წარუდგინოს მისი საქმიანობის აღწერა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
2. სასწავლო წლის დასრულებიდან ორი კვირის ვადაში ჯგუფს წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში

შენიშვნა: აღნიშნული ვალდებულება ეხება გიმნაზიის იმ ადმინისტრაციულ ერთეულებს და თანამშრომლებს, რომელთა სამსახურებრივ ფუნქციას წარმოადგენს: სასწავლო პროცესის მართვა, მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერა, უსაფრთხო და ინფრასტრუქტურულად გამართული გარემოს უზრუნველყოფა.

თავი III. დასკვნითი პუნქტები

მუხლი 13. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა

1. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებას შეიმუშავენ ჯგუფი და ამტკიცებს რექტორი.
2. ჯგუფის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებების შეტანა შეუძლია ჯგუფს ხმათა უბრალო უმრავლესობით.

დანართი №1



სამოქმედო გეგმა

სასწავლო წელი :

სკოლა:

მასწავლებელი:

სტატუსი:

საგანი:

№	აქტივობის დასახელება	ჩატარების პერიოდი

დანართი №2

განმავითარებელი უკუკავშირი პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შესრულებაზე

№	ძლიერი მხარეები
1	
2	
3	
	ბასუმობესაბელი მიმართულებები
1	
2	
3	
	ბასუმობესაბის სტრატეგიები/რეკომენდაციები
1	
2	
3	

დანართი № 3

გაკვეთილის გეგმა

თარიღი:

მასწავლებლის სახელი , გვარი :

პირადი ნომერი :

საგანი :

სწავლებლის საფეხური/კლასი:

მოსწავლეთა რაოდენობა :

(მასწავლებელმა უნდა მიუთითოს, თუ რამდენი მოსწავლეა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და მოახდინოს შესაბამისი აქტივობების მოდიფიცირება)

გაკვეთილის თემა:

გაკვეთილის მიზანი:

გაკვეთილის თემისა და მიზნის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან :

№	აუთივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი/მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო (წთ)
1					
2					
3					
4					
5					
6					

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები :

შედეგი თვალსაჩინოა, თუ

შეფასება :

(მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები და/ან რუბრიკები თან უნდა ერთვოდეს გეგმას)

ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსიის საორიენტაციო შეკითხვები

იქნა თუ არა მიღწეული გაკვეთილის მიზანი და რაში გამოიხატებოდა ეს?

რომელ კომპონენტში იყო გაკვეთილი ყველაზე წარმატებული და რამ განაპირობა ეს?

რომელი აქტივობები ვერ განხორციელდა და რატომ? რომელი აქტივობების მოდიფიცირება მოხდა და როგორ?

რა საჭიროებს გაუმჯობესებას? რა ხარვეზები გამოვლინდა გაკვეთილზე და რა იყო ამის მიზეზი?

რას და როგორ გავითვალისწინებ მომავალში? ამ გაკვეთილს თავიდან რომ ვგეგმავდე/ვატარებდე, რას შეეცვლიდი? პროფესიული განვითარების რომელ გზებს მივმართავ ამისთვის და რატომ იქნება ეს ეფექტური?

დანართი №4

გაკვეთილის შეფასების სკემა

საგანი:

კლასი:

მასწავლებელი:

დამკვირვებელი მასწავლებელი:

თარიღი:

გაკვეთილის მახასიათებლები	შეფასება	რეკომენდაცია
მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა		
პოზიტიური სასწავლო ბარემოს შექმნა, ღირებულებების ჩამოყალიბებაზე მუშაობა		
საუბროვნო უნარების განვითარების ხელშეწყობა		
მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასება		

დანართი №5

დისტანციურ/ონლაინ სწავლებაზე დაკვირვების ფორმა			
მასწავლებელი			
საგანი	კლასი	თარიღი	მოსწავლეთა რაოდენობა
გაკვეთილის თემა:			
მიმართულება - დისტანციური/ონლაინ პლატფორმის გამოყენება		კომენტარები და რეკომენდაციები	
<p>მასწავლებელი ფლობს შერჩეული პლატფორმებისთვის შესაბამის ტექნოლოგიურ უნარებ-ჩვევებს</p> <p>მასწავლებელი იცავს კომუნიკაციებისა და ონლაინ ეთიკის ძირითად პრინციპებს და ხელს უწყობს მოსწავლეთა მხრიდან ამ პრინციპების დაცვას მოსწავლეებისთვის განმარტებულია შერჩეული ელექტრონული პლატფორმის გამოყენების შესაძლებლობები და ონლაინ კომუნიკაციის ფორმები</p>			
მიმართულება - პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირება		კომენტარები და რეკომენდაციები	
<p>მასწავლებელი, ონლაინ ფორმატის სპეციფიკის გათვალისწინებით, ყველა მოსწავლეს რთავს საგაკვეთილო პროცესში (კითხვების დასმით, ონლაინ დისკუსიით, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების გამოყენებით, წყვილებში ან ჯგუფებში შესასრულებელი დავალებებით და სხვ.)</p> <p>მასწავლებელი უზრუნველყოფს ისეთი ონლაინ სასწავლო გარემოს შექმნას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეების ძიების პროცესში ჩართვას და დამოუკიდებელ შემსწავლელებად ჩამოყალიბებას</p> <p>მასწავლებელი ონლაინ სივრცეში ქცევის მართვის სტრატეგიების გამოყენებით ეფექტიანად მართავს მოსწავლეთა ქცევას</p> <p>ონლაინ გაკვეთილი მიმდინარეობს დინამიურად, ტემპი არის ოპტიმალური, დრო გამოყენებულია რაციონალურად/მიზნობრივად</p>			
მიმართულება - დისტანციური/ონლაინ ფორმატის რელევანტური სწავლება და შეფასება		კომენტარები და რეკომენდაციები	

<p>გაკვეთილზე გამოყენებული მიდგომები/სტრატეგიები ერთის მხრივ უზრუნველყოფს საგაკვეთილო მიზნის მიღწევას, მეორეს მხრივ კი არის ონლაინ სწავლებისთვის შესაბამისი</p> <p>მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას, რომელსაც იყენებს ახალი მასალის ასახსნელად</p> <p>მასწავლებელი ითვალისწინებს დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს და ათვისების სხვადასხვა ტემპსა და სტილს</p> <p>მასწავლებლის მიერ გამოყენებული მიდგომები (როგორც ონლაინ გაკვეთილები, ასევე საშინაო დავალები) ხელს უწყობს მოსწავლეთა მაღალი სააზროვნო და სოციალური უნარების განვითარებას</p> <p>მასწავლებლის მიერ გამოყენებული მრავალფეროვანი მიდგომები ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების სტიმულირებას და სწავლის მოტივაციის გაზრდას</p> <p>მასწავლებელი ქმნის მოსწავლეთა ონლაინ შეფასების ვალიდურ სისტემას და მოსწავლეთა მიღწევებს აფასებს სასწავლო მიზნებთან მიმართებით</p>	
<p>მიმართულება - სასწავლო რესურსების ეფექტიანად გამოყენება</p>	<p>კომენტარები და რეკომენდაციები</p>
<p>მასწავლებელი მოსწავლეთს სთავაზობს საგაკვეთილო მიზანთან შესაბამის მრავალფეროვან სასწავლო რესურსებს - მაგ. ვიდეო, საპრეზენტაციო მასალა, სასარგებლო ბმული და სხვ.</p> <p>მოსწავლეთათვის მიწოდებული რესურსი დისტანციური/ონლაინ ფორმატის შესაბამისია</p> <p>მოსწავლეთათვის მიწოდებული რესურსი, მათ შორის ციფრული, მოსწავლეთა ასაკის შესაბამისია</p> <p>მოსწავლეთა ჩართულობა არიან სასწავლო რესურსის მოძიების და/ან შექმნის პროცესში</p>	
<p>მიმართულება - მოსწავლეთთან ეფექტიანი კომუნიკაცია</p>	<p>კომენტარები და რეკომენდაციები</p>
<p>მასწავლებლის მეტყველება არის გამსჭვალული პატივისცემით, იგი საუბრობს მოსწავლისთვის გასაგები ენით</p> <p>მასწავლებელი იყენებს უკუკავშირის მრავალფეროვან საშუალებებს (ზეპირი, წერილი) მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასებისათვის.</p> <p>მასწავლებელი კორექტულად და ეფექტიანად აწვდის მოსწავლეთს კრიტიკული შენიშვნებს და იცავს კონფიდენციალობის პრინციპებს.</p> <p>მასწავლებელი ინსტრუქციებს გასცემს სხვადასხვა ფორმით (მაგ. წერილობითი, ზეპირი, დემონსტრირებით/მოდელირებით).</p> <p>ინსტრუქციები ფორმულირებულია კონკრეტულად, ნათლად, მოსწავლეთათვის გასაგები ენით.</p> <p>მასწავლებელი სხვადასხვა გზით ამოწმებს რამდენად გასაგებია ინსტრუქციები მოსწავლეთათვის</p>	